№ 16 22 იანვარი, კვირა 1866—1878 22 იანვარი, კვირა № 16

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амираговის სახლში, № 8.

ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амираговის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდ ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲐᲛ 1878 ᲬᲔᲚᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“

ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲡ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲦᲔᲛᲓᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲝᲛᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

Თ ფ ი ლ ი ს შ ი — „მიიღება დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амираговის სახლებში).

Გ ა რ ე შ ე მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ Въ Редакцію „Дроэба“.*

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ

მთელის წლისა	8 მან.	„ კაპ.
ექვსის თვისა	4 „	50 „
ოთხის თვისა	3 „	„ „

უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწელებსა და აგენტებს: **ᲮᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡᲐ-ᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ;** თუ არ აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲕᲔᲜᲐ, 19 იანვარს („ᲝᲑᲖᲝᲠᲘᲡ“ დეპეშა). ლონდონიდამ იწერებიან, აქ დარწმუნებულნი არიანო, რომ პარლამენტი ყოველ გვარ საშუალებას მისცემს მთავრობისაო, რომ საომრად მოემზადოსო. ეს ჰაზრი, სხვათა შორის, გამოსთქვა ამ დღეებში თვით ბლადსტონმაც, რომელიც დღემდინ მუდამ წინააღმდეგი იყო რუსეთთან ბრძოლის ატეხისა.

სტამბოლიდამ იწერებიან, რომ მთავარი ეზირი წინააღმდეგია იმ მორიგების პირობებისა, რომელიც რუსეთმა წარუდგინა ᲝᲡმალეთს.

ᲕᲔᲜᲐ, 18 იანვარს. („ᲑᲝᲚᲝᲡᲘᲡ“ დეპეშა). აქ იმედი აქვთ, რომ რუსეთის მთავრობა მიაქცევს ყურადღებას იმ შენიშვნებს, რომელიც წარუდგინა ᲐᲕᲡᲢᲠᲝ-ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲘᲡ მინისტრმა ᲐᲜᲓᲠᲐᲡᲩᲘᲛ რუსეთისაგან შედგენილ მორიგების პირობებზე; და აქედამ გამოჰყავთ ის დასკვნა, რომ მორიგება მალე მოხდებაო.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲘᲓᲐᲛ გვწერენ:

„ზოგიერთს გაზეთებში იწერებიან, რომ ვითომც ჩვენს (ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲘᲡ) ატრიადს ᲐᲠᲗᲕᲘᲜᲘ აელოს; ეს ტყუილია. როგორც ამას წინათაც მოგწერეთ, ღენ. ᲙᲝᲛᲐᲠᲝᲕᲘ თავის ატრიადით ჯერ ᲐᲠᲗᲕᲘᲜᲡ არ მისდგომია.

„ᲐᲥ ლაპარაკობენ მხოლოთ,—არ ვიცი კი—რამდენათ მართალია ეს ამბავი,—რომ ვითომც ღენ. ᲙᲝᲛᲐᲠᲝᲕᲘ აელოს ᲐᲠᲗᲕᲘᲜᲘᲡ მახლობლად ერთი გამაგრებული სოფელი და ამ დროს დაეტყვევებინოს 400 ᲝᲡმალოს სალდათი და სამი ზარბაზანიც წაერთმიოს მტრისათვის.

„საშინელი სიცივეებია, ღრმა თოვლი და ამის გამო გზები გაფუჭებულია.“

—

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲑᲔᲠᲔᲑᲘ.

—

Ერთს მონასტერში სდგანან ბერები,
რომელთაც ჰქვიათ ინჯისტარები.
რაღაც უცნაურ წესის არიან
და იმ წესშიდა მჭიდროთ არიან.
Ერთმანეთ შორის აქვთ დიდი ძმობა:
ნაშოვარისა ერთად გაყოფა.
ᲙᲐᲜᲝᲜᲐᲗᲐ აქვთ: სულ მიწა სთხარონ,
ᲙᲚᲓᲔᲡᲐ და წყალსა ყველგან ებრძლონ.
ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ უნდა ეცადონ,
რომ ამ ბრძოლაში ფული იშოვნონ.
ᲛᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲝᲠ ᲙᲐᲜᲝᲜᲡ ᲐᲠ შეასრულებს,
ᲘᲡ დამნაშავე ამ პასუხს აგებს:
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐ—ᲞᲐᲜᲩᲣᲠᲡᲐ ჰკრამენ
და მონასტრიდგან გამოაგდებენ.
ᲛᲔᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐ—ᲩᲐᲛᲝᲭᲘᲚᲔᲑᲔᲜ
და ყელით ჯვარსა აზიდვინებენ..

—

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲔᲠᲗᲒᲐᲜ ᲑᲔᲠᲔᲑᲘ:
ᲓᲐᲠᲛᲝᲭᲐᲜᲘᲡᲐ ᲩᲘᲕᲜᲘᲩᲘᲙᲔᲑᲘ.
ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲛᲐᲗ ᲛᲐᲠᲮᲣᲚᲝᲑᲐ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲐᲥᲕᲗ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ.
ᲔᲠᲗᲡ ᲛᲦᲕᲘᲛᲔᲨᲘᲓᲐ ᲨᲔᲘᲧᲠᲔᲑᲘᲐᲜ
ᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲜᲘ ᲛᲘᲓᲘ-ᲛᲝᲓᲘᲐᲜ.
ᲛᲐᲗᲘ ᲔᲐᲚᲘᲐ: ᲐᲛᲝᲚᲐᲒᲔᲑᲐ,
ᲩᲮᲠᲔᲙᲐ, ᲒᲐᲥᲔᲥᲕᲐ და ᲩᲐᲚᲐᲒᲔᲑᲐ!
ᲚᲝᲪᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲤᲣᲚᲘ ᲘᲨᲝᲕᲜᲝᲜ,
ᲛᲐᲠᲮᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ—ᲯᲘᲑᲔ ᲘᲢᲔᲜᲝᲜ.
ᲠᲝᲪᲐ ᲯᲘᲑᲔᲔᲑᲡ სულ გაიმსებენ,
ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲝᲑᲐᲡᲐ იმსახურებენ;
ᲓᲐ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲘᲓᲒᲐᲜ ᲕᲘᲜᲪ ᲣᲐᲠᲡᲐ ᲰᲧᲝᲤᲡ,
ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲬᲔᲡᲡᲐ ᲘᲡ ᲣᲝᲠᲒᲣᲚᲝᲑᲡ;
ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲛ ᲝᲠᲒᲣᲚᲡ ᲞᲐᲜᲩᲣᲠᲡ ᲐᲛᲝᲰᲙᲕᲠᲔᲜ
ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲓᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲐᲑᲫᲔᲜᲔᲜ.

—

ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲡᲘᲐ, ᲘᲡᲘᲪ ᲑᲔᲠᲔᲑᲘᲡ
ᲣᲬᲓᲐᲑᲐᲓᲘᲜᲘᲡ ᲩᲐᲜᲩᲐᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ.
ᲔᲐᲜᲘᲪ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ,
ᲘᲜᲯᲘᲡᲢᲐᲠᲔᲑᲡᲐ ᲔᲛᲖᲒᲐᲕᲡᲔᲑᲘᲐᲜ.
ᲕᲐᲚᲘᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲣᲠᲐᲝᲑᲐ,
ᲓᲦᲘᲗᲘ ᲫᲘᲚᲘ და ᲦᲐᲛᲔ ᲤᲮᲘᲖᲚᲝᲑᲐ,
ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ ᲯᲘᲑᲔ ᲘᲢᲔᲜᲝᲜ,
ᲝᲚᲝᲜᲪ ᲙᲘ ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲐᲥᲣᲠᲓᲕᲘᲜᲝᲜ.
ᲐᲛ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲬᲔᲡᲡᲐ ᲕᲘᲜᲪ გადუდგება,
ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲐᲓ ის დაირჯება:
ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲐ, ᲯᲕᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲡᲢᲐᲜᲯᲕᲔᲜ
ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲔᲠᲗ ᲯᲕᲐᲠᲡ ᲐᲠ ᲐᲙᲛᲐᲠᲔᲑᲔᲜ;
ᲑᲣᲚᲖᲔ და ᲧᲔᲚᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲰᲙᲘᲓᲔᲑᲔᲜ
და ᲖᲝᲒ ᲯᲕᲐᲠᲖᲔᲓᲐ ᲒᲕᲘᲠᲒᲘᲜᲡ დაადგმენ;
ᲑᲝᲚᲝᲡ ᲞᲐᲜᲩᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲛᲘᲗ გახეთქვენ
და მონასტრიდგან გამოუძახვენ...

ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲛᲔᲣᲓᲐᲑᲜᲝᲚᲘ

1877 წელს, ფებერვლის 15

ინგლისურს გაზეთს „Daily News“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 9 იანვარს ბაიბურთიდამ მიღებული:

„Არზრუმი ისეთ ნაირად გარ-შემორტყმულია რუსის ქვეითა და ცხენოსანი ჯარისაგან, რომ ოსმალოებს არც ერთის მხრით არ შეუძლიანთ აქედამ გასელა. Ფოჩტის გზა და ტელეგრაფიც რუსების ხელშია ასე, რომ Არზრუმელებს არ შეუძლიანთ არც თავის მდგომარეობა აცნობონ ვისმეს და არც თვითონ შეიტყონ რამე. ᲑუᲨინ რუსის ატრიადი Შაეტ-Აალესაკენ გაემგზავრა. ᲩᲕᲔᲜᲘ (ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ) ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲐᲔᲛᲞᲔᲚᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ მოვიდა აქ (ბაიბუ-რთში).“

—

ᲕᲔᲜᲘᲡ გაზეთს „Presse“-ს მოსელია Არზრუმიდამ 10 იანვარს შემდეგი დეპეშა:

„ᲑᲣᲨᲘᲜ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ რუსების ორი ბატალიონი ქვეითა ჯარი და სამი პოლკი ცხენოსანი სამი ზარბაზნით პერმკაპანიდამ ᲑᲣᲕᲔᲠᲓᲐᲚᲨᲘ მოვიდა; ამათ წინაალმდეგ ოსმალოებმა გაგზავნეს აქედამ ორი ბატალიონი. ᲯᲔᲠ არავითარი ამბავი არ მოგვსელია—თუ რით გათავდა ამაოი შეტაკება.“

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

სტამბოლიდამ უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, რომ, ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ სამხედრო სამინისტროს განკარგულებით Ახმედ-ᲛᲘᲣᲗ-ᲤᲐᲨᲐ დანიშნულიაიმ ჯარების მთავარ სარდლად, რომელნიც ᲗᲣᲠᲚᲣᲨᲘ არიან დაყენებულიო და ᲨᲔᲕᲥᲔᲗᲡᲐ და ᲛᲣᲰᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲐს კი მინდობილი აქვსთ თვითონ სტამბოლის დაცვა და იმ ჯარების უფროსობა, რომელიც ამ ჟამად ᲩᲐᲢᲐᲚᲯᲐᲨᲘ არის დაბანაკებული.

—

ᲑᲐᲖᲔᲗᲡ „Times“-ში მოყვანილია შემდეგი ტელეგრამმა 4 იანვარს ᲨᲣᲠᲥᲕᲔᲗᲓᲐᲛ მიღებული:

„ᲑᲣᲨᲘᲜ ᲠᲣᲡᲩᲣᲚᲘᲓᲐᲛ კიდევ დაუშინეს ყუმბარები ᲨᲣᲠᲥᲕᲔᲗᲡ; სხვათა შორის, ᲝᲡᲛᲐᲚᲡ ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲐ მომწყვიტა ფეხი ადგილობრივ პოლიციის უფროსს. ᲓᲦᲔᲡ კი აქ სრული მშვიდობიანობაა. ᲢᲐᲠᲝᲡᲘ აქეთკენ მშვენიერია, თბილა და თოვლი დნება.“

—

ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲣᲚᲡ გაზეთს „Le Temps“-ში იწერებიან სტამბოლიდამ:

„ᲐᲥ მოვიდა ᲑᲐᲚᲘᲞᲝᲚᲘᲓᲐᲛ დეპეშა, რომელიც გვატყობინებს, რომ ამ ქალაქისაკენ ᲐᲓᲠᲘᲐᲜᲝᲞᲝᲚᲘᲓᲐᲛ ერთი კორპუსი რუსის ჯარი მოდისო. ᲑᲐᲚᲘᲞᲝᲚᲘ სრულიად მზათ არ არისო, რომ მტერს გაუმაგრდესო. ᲐᲛᲘᲡ გამო იქაური გარნიზონის უფროსი სტამბოლიდამ ჯარების მიშველებას თხოულობს; მაგრამ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ მთავრობის მთელი ყურადღება ახლა სტამბოლის დაცვაზედ არის მიქცეული. ᲐᲥ დარწმუნებით ამბობენ, რომ, თუ მანამ მორიგება არ მოხდა, რუსის ჯარები 25 ან 26-ს იანვარს ᲑᲐᲚᲘᲞᲝᲚᲨᲘ მიელენო.“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲧᲝᲕᲚᲘᲡ მხრით სიკვდილი და ავათმყოფობა ისმის ჩვენს ქალაქში. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ახლა კიდევ არაფერი—გაზაფხულზე მოელიან ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡ მხრიდამ ყოველ გვარ სენისა და ჭირის მოვლენა. ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲚᲔᲑᲛᲐ ახლავე დაიწყეს ფიქრი იმაზე—თუ სად გაიქცნენ ქალაქიდამ და მომავალს ზაფხულში სად დაეხიზნონ ამ უსიამოვნო სტუმრებს...

ᲓᲘᲓᲘ მთავარის ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ ბრძანებით, ასი ათასი მანეთია დანიშნული ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ და ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡ ყოველ მხრივ გასასუფთავებლად და გასაწმენდათ. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ 75,000 მან. და ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 25,000 მან. ᲗᲣ ეს ფულები რიგიანათ შოიხმარა იმ კამისიამ, რომელიც განსაკუთრებით ამ საგნისათვის არის დანიშნული ჩვენში, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მდაბალ ხალხს, რომელსაც ყველაზე უწინ ეცემა ხოლმე ყოველგვარი სენი, ცოტაც არის შეუმსუბუქდება ამ მხრით მდგომარეობა.

*** ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ“ თავისი ბრძნულის სიმახვილით გვარწმუნებს, რომ ავადმყოფების ᲧᲣᲗᲐᲜᲝᲕᲔᲑᲘᲡ ჩამოლრჩობა, თუმცა ერთობ სასტიკი დარჯა არისო, მაგრამ მაინც კარგია, რადგან სხვებს დაეშინებისო...

ᲐᲛ საგნის შესახებ ჩვენ გავიგონეთ, ვითომც ამათი ჩამოლრჩობა იმიტომ გადაუდვიათ, რომ ერთს ამათგან უთქვამს, რომ არც ერთი ჩვენგანი იმ პოლიციელის მკვლელი არ არისო, ჩვენ ექვსნი ვიყავითო და თუ გვადროებთ დაგისახელებთ ამ ჩვენს ამხანაგებსაო.

*** სამეგრელოდამ მოგვეგზავნა ამბავი, რომ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲭᲘᲠᲘ იქითკენ ისევ ისე, გავრცელებულია, როგორც შარშან ზაფხულ და შემოდგომაზე იყო. „ᲓᲐ თუ ამ გაზაფხულამდინაც ასე გასტანაო, გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი, მგონია მომეტებულ ნაწილს თითო პირუტყვიც აღარ დარჩება ნამეტურ ვაკე სამეგრელოშიო.“

*** Იქიდამვე გვწერენ, რომ აქ ჩამოვიდა უფ. მეიჯარადრის ᲗᲐᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲞᲠᲘᲙᲐᲡᲩᲘᲙᲘ, ვილაც ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲝ, იმ განზრახვით, რომ ორ-ორ აბაზათ იყიდოს ფუთი სიმინდიო. მაგრამ გამყიდველები ეუბნებიან თურმე, რომ ორ აბაზსა და ორ და ორ კაპეიკს ჩვენ მოგცემთ და კამისისთვისაც ფუთზე კაპეიკს, რამდენსაც მოგვიტანთო. „ᲐᲛ სიტყვებმა ძალიან დააფიქრა ჩვენი თავადი—პრიკასჩიკიო ასე, რომ სთქვაო:

— Ე რა ხალხში ჩავვარდი! ᲩᲔᲛᲡ აღაზე უკეთ ვაჭრობის საქმე ამათ სცოდნიათო!“

*** ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ უეზდის სოფ. ᲮᲔᲠᲗᲕᲘᲡᲘᲓᲐᲛ გვწერენ, რომ ამ დღეებში აქ მამასახლისის ამორჩევა გვქონდა და კარგათ, თანხმობით მიჰყავდათ საქმე სოფლელებსო; მაგრამ ბოლოს ჩვენი სოფლის მღვდელი ჩაერია და [illegible] საქმეო.

ᲑᲔᲕᲠᲡ რაღაცაებს არა-საქებარს იწერება კორრესპონდენტი ამ მოძღვარზე; ჩვენ ყველა ეს არ მოგვყავს; ჩვენ გვაკვირვებს მხოლოთ ის, რომ მღვდელი ამგვარს საქმეებში ერევა და ერევა იმისთვის კი არა, რომ წესიერება და მშვიდობიანობა ჩამოაგდოს სოფლის საზოგადოებაში, არამედ ხალხის ასამტუტებლად და ასამღვრევად.

*** ᲩᲕᲔᲜ გვითხრეს, რომ უფ. ᲠᲝᲢᲘᲜᲘᲐᲜᲪᲘ თავის ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲣᲚ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲡ მესამედ დასაბეჭდათ ამზადებსო.

ᲗᲘᲗᲝᲗ გამოცემა რომ 600 ეგზემპლიარი ჩავაგდოთ, გამოვა, რომ ორი წინანდელი გამოცემა 1,200 წიგნი გაყიდულა.—ᲑᲘᲙᲕᲘᲠᲘᲡ საც მონახა უფ. ᲠᲝᲢᲘᲜᲘᲐᲜᲪᲛᲐ იმდენი ᲡᲣᲚᲔᲚᲘ ხალხი, რომ ამდენი წიგნები გაასალა იმათზე...

*** ᲩᲕᲔᲜ მივიღეთ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ საქართველოს ერთი უეზდიდამ შემდეგი შენიშვნა:

„ᲩᲕᲔᲜᲘ უეზდის სამღვდელო პირებმა იგრძნეს სილარიბით დაცემა თავიანთი მდგომარეობისა რადგან ეკარგებოდათ დრამა;იმისთვის აღწერეს თითოეული კომლი, რომელნიც კამელარიაში ერთად სწერიან, იგინიც ცალ-ცალკე და ამ აღწერილობით გარდასცეს ვექილობა უეზდის სამმართველოს სეკრეტარს, რომ იმან გარდაახდევინოს კომლზედ ორ-ორი მანეთი და მანეთიდამ შაური ამოგებისათვის თვითონ მიიღოს; დანარჩენი კი ჩააბაროს მათ.

„Უ. სეკრეტარმა გარდასცა ბრძანება სოფლის მამასახლისსებს ფულების მოკრების თაობაზე; მამასახლისებმა თან იახლეს თორმეტამდინ სხვა მოხელე პირები და დაერივნენ სოფლებსა. ᲗᲘᲜᲪ ვერ შეიძლო გარდახდა, ჭამით ამოაგდეს, წაართვეს, და გაუყიდეს დღიური საზრდო და ამნაირის საშუალებით დააკმაყოფილეს მღვდლები.

„ᲖᲝᲒᲘ მრევლი მიიქცენ მოძღვართან, სთხოვეს შეიწყალოს და დაჯერდეს ერთს მანეთს. მაგრამ, ეს სეკრეტარის საქმე არისო, ესე ეუბნებოდნენ და ასე ისტუმრებდნენ. ᲐᲑᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ რედაქტორო, სეკრეტართან ვინღა გაბედავს მისვლას; ერთი საწყალი კაცი მიიქცა მასთან ამ საგანზედ და ფეხის ბრახა-ბრუხითა კინაღამ სული გააგდებინა.

„ᲛᲘᲙᲕᲘᲠᲘᲡ ამ სოფლის სამღვდელო პირების საქმე: დრამას კი თხოულობენ და სახლში სხედან; სანამდის ვინმე არ გარდაიცვლება, მანამ არა ვის სახლში მიელენ, და არავითარ მღვდელთ თანამდებობას არ აღასრულებენ და სანამ ოც მანეთს არ მისცემენ, მიცვალებულს შენდობას არ მისცემენ.“

*** ᲐᲛ ორშაბათის სხდომაზე ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ, სხვათა შორის, შემდეგ საგნებზე მოილაპარაკებს: ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲐ სახადის გავრცელების წინააღმდეგ სახსრების მიღებაზედ,—მო-

ხსენება ბამგეობისა მიხაილოვის სახელოსნო შკოლის წესდებაზედ,—ხმოვანის ამიროვის წინადადება ადრეს-კანტორის გამართვის შესახებ,—ხმოვანის ბ. არწრუნის წინადადება ღამის ყარაულების დაჯილდოებაზედ,—ხმოვანის ბ. არწრუნის წინადადება შესახებ იმისა, რომ ქალაქის ცნობანი ერთს რომელსამე თფილისის გაზეთში დაიბეჭდოს და სხვ.

*** ჩვენ ვიპოვნეთ ამ დღეებში ერთი პატარა ქართული ძველი ხელთ-ნაწერი წიგნი, პოემა „ნარგიზოვანი.“ ამ წიგნიდამ სჩანს, რომ ეს პოემა მეფე არჩილს დაუწერია. ამას იმიტომ ვაცხადებთ, რომ ჩვენს ძველს მწიგნობრობაში სრულებით დაკარგული იყო და დავიწყებული ამ პოემის დამწერი. ახლა ჩვენ შაგვიძლიან ვთქვათ, რომ ამ ჩინებული პოემის დამწერი არის მეფე არჩილი, რომელსაც ლექსად აუწერია მეფე თეიმურაზის ცხოვრება. ეს პოემა 1853 წელს მიცვალებულ პ. იოსელიანმა დაბეჭდა უსახელოდ და გამოსცა თფილისში.

*** ამ დღეებში უფ. ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა ერთი პატარა ქართული წიგნი, სახელად „ს ა ლ ა მ უ რ ი“, რომელშიაც ოცოდე გვარიანი ლექსია მოყვანილი.

წერილი რედაქტორთან

—

უ. რედაქტორო! 1875-ს და 1876-ს წლებში თქვენს პატივცემულ გაზეთს „დროებაში“ სწერდნენ, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პანსიონერებს ძრიელ ცუდსა და ნაკლებ ხარჯს აძლევენო.

ამის წინააღმდეგ, თავის გასამართლებელათ, სასწავლებლის სამმართველოში შეადგინეს თურმე მაშინ ჟურნალი და მოახსენეს ყოველად-სამღვდელოს იმერიეთისიპისკოპოსს, რომ ის ფული, რომელიც თვითოეულ პანსიონერზე არის დანიშნული, ძრიელ ცოტა არისო და ამისთვის პანსიონერებს ნაკლები საზრდო ეძლევათო. ამ ჟურნალზე ყოველადსამღვდელოს დაედგინა, რომ ოღონდ კი პანსიონერებს საკმაოდ მიეცით საზრდოო, ოღონდ კი იმათი საჭმელი კარგი თვისებისა იქმნესო და რაც მეტი ფული დიხარჯოს იმათზე, ის სამღვდელოების შამოტანილი ფულებიდგან შეავსეთ ბოლმეო.

როგორც ნამდვილათ შეეტყვე, იმ წლებში პანსიონერებზე დაწესებული ფულები, არ ყოფნიდათ კი არა, ათას მანეთზე მეტიც დარჩენილა ეკონომია, მაშინ როდესაც სასწავლებლის წესდების ძალით შაგირდების ხარჯზე ეკონომია ძრიელ აღკრძალულია.

მიკვირს, თუ კი იმათი ხარჯიდამ ეკონომიაც რჩებოდა, ვილას ატყუებდნენ და რათ ამბობდნენ, რომ პანსიონერების ხარჯათ ცოტა ფულია დანიშნულიო!

მე დარწმუნებული ვარ, რომ წარსულს წელში კიდევ მეტი დარჩებოდა ეკონომია იმიტომ, რომ წინა წლებში, ცუდი იყო თუ კარგი, კვირაში ხუთჯერ მაინც ჭქონდათ ხოლმე პანსიონერებს ორ-ორი თავი საჭამადი და წასულ წელში კი, განსაკუთრებით ომის დაწყობის შემდეგ, სულ თვითო თავ საჭმელს აძლევდნენ ხოლმე. მაგალითებრ, წარსულს ქრისტეშობის თვის მარხვაში უმეტეს ნაწილათ ბოლოკსა და ლობიოს აჭმევდნენ პანსიონერებს სადილათ, და ვახშმათ ხომ მუდამ ლობიო ჰქონდათ...

ერთ პირს, რომელსაც ამ სასწავლებელთან დაახლოებითი კავშირი აქვს, ეთქვა, რომ წინა წლებში რომ ერთ თვეს ახარჯებდნენ ხოლმე შეგირდებსაო, ახლა იმდენი ხარჯი ორ თვეს ყოფნისთო.—რასაკვირველია, თუ კი საკმაოდ არ აჭმევენ შეგირდებს, მაშინ ის ხარჯი, რომელიც თვეში ერგებათ ხოლმე, ორ თვეს კი არა, სამ თვესაც ეყოფათ! მაგრამ ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ წინეთ პანსიონერებს დანა-ჩანგალი მაინც ჭქონდათ და ახლა ისიც აღარა აქვსთ და ხელებით ითითხნებიან წყალ-წყალა წვენში. სხვაზე კი ნულარაფერს მკითხავთ, უ. რედაქტორო, რადგანაც მე არც აქამდის მიმსახურნია ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და არც ახლა გახლავარ ეკონომი, არამედ

მკვდელი

დარიგება *)

სოფლებში მცხოვრებლებისა იმ ავათმყოფობის წინააღმდეგ, რომელსაც რუსები ეძახიან „чума рогатаго скота,“ ქართველები „საქონლის ჭირს“ და სომხები და თათრები „ოზარ.“

—

როგორ უნდა მოისპოს რქიანი საქონლის ჭირი, თუ რომ გამოჩნდა რომელიმე სოფელში?

1) ყველა, ვინც უნდა იყოს სოფელში მცხოვრები, თვით მებატონეც კი, მოვალეა, როდესაც გამოჩნდება საქონლის ჭირი, შეატყობინოს სოფლის მამასახლისს, რომელმაც იმ დღესვე უნდა შეატყობინოს ან პოლიციის პრისტავს, ან მაზრის უფროსს. ამ დროს, ექიმის მოსვლამდინ, ყველა მოვალეა ნამდვილად აღასრულოს ის, რაც ამ წესებშია ნაჩვენები, ხოლო ვინც არ აღასრულებს ამ წესებს, ის იქნება დასჯილი კანონისამებრ, ე. ი. ან ჯარიმა გადაეხდევინება და ან საპყრობილეში ჩაისმევა, (სტ.112 Уст. о нак. налог. Мир. Судьями.).

2). თუ ვინიცობაა გამოჩნდა სოფელში რქიანი საქონლის ჭირი, მაშინ მართლად სოფლის საზოგადოებამ უნდა იზრუნოს ქმედოს ერთად, საზოგადოდ [illegible] ცალ-ცალკე. ამისთანა შემთხვევაში ყველა სოფლის მცხოვრებს უფლება აქვს მოითხოვოს მეორისგან, რომ იმან ნამდვილად აღასრულოს ყველაფერი, რაც კია ნათქვამი ამ წესებში; იმისთანა საქონლის პატრონებს კი, რომელთაც არ შეუძლიან ამ წესების აღსრულება, როგორც მაგალითებრ არ შეუძლიან დაბარხონ მიწაში ჭირისგან მოკლული პირუტყვი, იმათ ყველაფერში სოფლის საზოგადოებამ უნდა მისცეს შემწეობა. ეს საჭიროა იმიტომ, რომ, თუ, ერთმა არ აღასრულა ეს წესები, მაშინ სულ აშაოდ რჩება დანარჩენი სოფლის მცხოვრებლების შრომა და ცდილობა.

3) წესდების აღსრულების აგრეთვე სოფელებში საქონლის თვალ-ყურის მგდებელათ სოფლის საზოგადოებამ უნდა ამოირჩიოს თვის შორის კეთილ-საიმედო, ერთგული კაცი, რომელსაც რუსულად ჭირის სტაროსტას ეძახიან.

4) ავათმყოფი საქონელი ცალკე ალაგას, სოფლის გარეთ, ან სოფლის ბოლოს უნდა დააყენონ და იქ უნდა იყოს იმათი ბინა, ასე რომ იმ ადგილას სოფლის ნახირი არ უნდა მიდიოდეს. ავათმყოფი საქონლის მეთვალყურეთ და მოსაველელად უნდა ამირჩიონ თვის შო ანუ ფასით დაიჭირონ, საკუთარი კაცი, რომელმაც საღ საქონელში აღარ უნდა გაიაროს.

5) ავათმყოფი საქონელი უნდა განაშორონ ნახირს მაშინ კი არა, როდესაც ჭამას თავს დაანებებს, არამედ მაშინვე, როდესაც პატრონი, ანუ მწყემსი შენიშნავს რომ პირუტყვი მოწყენილია და ხდება.

6) მინამდინ სოფლები გააკეთებენ შენობას ავათ-მყოფი პირუტყვისთვის სოფელში, მინამდინ ყველა პატრონმა არუნდა გაუშვას საქონელი თავის კარმიდამოდამ, ბაგადამ. ამ დროს ავათმყოფი საქონელი არ უნდა ჰყავნდეთ დაწყვდეული და არ ატარონ არც ეზოში და არც სოფელში. ამ შემთხვევაში ავათ-მყოფს საქონელს თვალ-ყური უნდა უგდოს მრთელმა სახლობამ კი არა, მარტო ერთმა ვინმე მათგანმა, რომელიც საღ საქონელს აღარ უნდა მიეკაროს (1724 სტ. X III ტ. სამედ.პოლიცდადგინ.).

7) ავათმყოფი საქონლის ნეხვი არ უნდა დაყარონ საზოგადო სანახევზე, უნდა ყოველ დღე გაწმინდონ და დასწონ.

8). ის ჭურჭელი და ნივთები, რომელნიც ავათმყოფი საქონლის მოვლის დროს საჭირონი არიან, აღარ უნდა იხმარონ სალი საქონლისთვის.

9) იქ სადაც საზოგადო ნახირს წყალს ასმევენ, ავათმყოფ საქონელს არ უნდა ასონ წყალი; იმათ უნდა ასონ წყალი შინ საკუთარს ჭურჭელში.

(მაგრძელება)

---

*) „დროება,“ № 14.

ნარევი

ერთს ინგლისურს გაზეთში სწერენ სტამბოლიდამ, რომ რუსეთთან მორიგების შესაკვრელად გაგზავნილ სერვერ-ფაშამ და ნამიკ-ფაშამ ვერცხლის დინა-ჩანგალი და საზოგადოთ მთელი სტოლის მოწყობილობა ვერცხლის წაიღეს იმ განზრახვით, რომ როცა მორიგების პირობას შეკრავენ, სადილი გაუმართონ რუსეთის წარმომადგენელ პირებსაო.

***

ავაზაკებს გაუცარცავთ ამას წინათ ტრაპიზონის მახლობლად, სოფლის მულასის სამართლმადიდებლო ძველი ეკკლესია, რომლიდამაც ბევრი თვალ-მარგალიტი და ოქრო-ვერცხლის ნივთები გაუტანიათ. ამბობენ, ეს ავაზაკები მაჰმადიანთაგანნი იყვნენ.

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; [illegible] 50 კაპ., ღარიბეები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე [illegible]ების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და უმაწვილების.

ქალის ავათყოფობისათვის:

ყოველ დ[illegible]ერას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი ონანოვი.

ოთ[illegible] 12 [illegible]ათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

[illegible] 11-დამ 12მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საუმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და ვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი შაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ონანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკოთახებში კი დღეში—1 მან.

ახალი ტაქსა გირჩის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა:

	ფაეტონის		დროჟკის	
ერთი გზა	40	კაპ.	25	კაპ.
საათი	80	„	55	„
ქალაქიდამ—ნავთლულს	80	„	50	„
— მუშტაიდამდინ —	60	„	45	„
— მუშტ. და უკან 1/2				
საათი გაჩერება 1 მან.	20	„	90	„
რკ. გზიდამ ნავთ.—2	„ —	„	1 მან.	50 „
—დამოჟნამდინ— 1	„ 50	„	1 „ —	„
—ქალაქ. ყველგან 1	„ —	„	„—	70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.—	„ 80	„	„—	50 „
— ნავთლულიდამ 1	„ 50	„	1 „ —	„
რკინის გზამდინ და				
უკან — — —1	„ 30	„	—„	90 „

შენიშნვა ა). ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შენიშნვა ბ). ნაშუალამეევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაეტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

განცხადებანი

იყიდება
უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.
ეშმაკის ხარო
მდაბიური ამბავი
ალ. სა. მესხიევისა.
გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.
ფასი ერთი შაური

ჩაის მაღაზია
ვ. ვ. პოპოვისა,
რომელიც იმყოფებოდა ბალავინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია ერევნის მაედანზე, ტერ-ასატუროვის სახლებში. პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.
თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი
რაჭდენ ბედინიძე

იყიდება თბილისში, ვართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, ბოლოვინის პროსპექტზე, აზნაურეოვის თამბაქოს მაღაზიაში და ქუთაისს ალექსი ჭიჭინაძისას:
ალმანახი
შედგენილი ბ. თუმანიშვილისაგან.
შინაარსი: შვიდი ლექსი თ. ალექსანდრე ჭავჭავაძისა.—ჟორჟ დანდენი, სამოქმედებიანი კომედია მოლიერისა. სამი ლექსი ო. მახ. ბირთვ. თუმანიშვილისა. შარშანდელ ქართული მწერლობის გადათვალიერება.—ეკონომიური სურათები.—პატარა წერილი დიდ საქმეებზე.
ფასი ყველგან ორი აბაზი.
(3—3)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
უკირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
უკირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სილნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდ. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ბაქეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		კაპ.
და სამზღვარ გარეთ:		
ლია წიგნის		4
დაბეჭდილის (სამი მისბალი) .		8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 18 იანვარს.		
ერთი ჯანეთი ლიოს:		
ლონდონში 23 ჯენსი.	—	78
პარიეში 263 სანტიმი.	—	62
ესკონტი (სარგებლისფასი)	7 1/2	—
ბანკის ბილეთი 5%	95	50
მოგებიანი (პირველისა ხ.	232	25
მოგებიან. (მეორე სესხი)	229	50
ბირაოს ფურცლები:		
თ ფილ. ბანკ.	—	—
ხერსონის ბანკი	83	25
მოსკოვის . .	83	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
ქაოკაზის და მერკურის .	225	—
პირვ. საზღვევ. საზ. ტ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. ტ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი. 21 იანვარს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	2	15
ფქვილი წითელი . .	1	80
ქერი ფუთი . . .	1	45
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	60
—ამერიკისა, ფუთი . .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	12	—
მატყლი თუშური ფუთ.	8	20
—მარაქამისა ფუთ. .	4	80
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ძონი, ფუთი. . .	5	40
ძონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	14	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა .	—	90
სპირტი, გრადუსი .	—	15
შაქარი, ბროც. ფუთი .	9	20
—ფხვნილი ფუთი . .	8	20
ულა გრგვალი, ფუთი .	—	80
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	14	—
ოქრო 1/2 იმპერიალი. .	8	10

Дозволено цензурою Тифлисъ, 21 Января 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.